ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "შხარა 91"-ის წევრთა

საერთო კრების ოქმი

თბილისი 28 ნოემბერი 2011 წელი

კრებას ესწრებიან:

დონარა დოლიძე, ბუჭა ტოგონიძე და ნუგზარ სვანიძე.

ამხანაგობის წევრი შაქრო მაჭავარიანი არ ესწრება კრებას

დღის წესრიგი:

- ამხანაგობის არსებული წესდების გაუქმება;
- წესდების ახალი რედაქციის მიღება;
- გამგეობის არჩევა;
- თანათავმჯდომარის ინსტიტუტის გაუქმება და თავმჯდომარის არჩევა;
- ამხანაგობის მიმდინარე საქმეების განხილვა და შეუსრულებელი ვალდებულებების განხილვა, რაც მოიცავს პროექტით გათვალისწინებულ მშენებლობას, დამცავი ღობისა და ავტოფარეხების მშენებლობას და ეზოს კეთილმოწყობას;
- "ა" კორპუსში მცხოვრები პროექტის დამრღვევი პირების მიმართ გაფრთხილების გაკეთება;
- პროექტის დარღვევის გამო მისი რეკონსტრუქციის საკითხის განხილვა;
- რეკონსტრუქციის პროექტის შედგენისათვის არქიტექტორის შერჩევა;

კრების თავმჯდომარედ არჩეული იქნა დონარა დოლიძე.

კრების თავმჯდომარემ გახსნა კრება და დამსწრე წევრებს მოახსენა, რომ ამხანაგობის წევრები ამჟამად არიან მხოლოდ ოთხი ფიზიკური პირი თავად დონარა დოლიძე, ბუჭა ტოგონიძე, ნუგზარ სვანიძე და შაქრო მაჭავარიანი. ამხანაგობის წევრს შაქრო მაჭავარიანს კრების თაობაზე ეცნობა თავისი ძმის თანგიზ მაჭავარიანისა და მისი ადვოკატის მზია პატარაშვილის მეშვეობით, ასევე გაეგზავნა კრების მოწვევის თაობაზე "TNT" ფოსტის მეშვეობით, რომლის მეშვეობითაც 2011 წლის 22 ნოემბერს გაგზავნილი იქნა გზავნილი №001210560. მიუხედავად იმისა, რომ მზია პატარაშვილმაც და თენგიზ მაჭავარიანმაც გადმოგვცეს, რომ შაქრო მაჭავარიანი ჩამოვიდოდა უკრაინიდან და დაესწრებოდა საერთო კრებას იგი არ გამოცხადდა საერთო კრებაზე. შესაბამისად, გზავნილი უკან გადმოგვეცა კურიერის წარწერით,

დონარა დოლიძე ბუჭა ტოგონიძე ნუგზარ სვანიძე

რომ იმყოფებოდა 24 და 25 ნოემბერს და არავინ დასწდა სახლში, ხოლო ჩვენს მიერ შაქრო მაჭავარიანის ძმის თენგიზ მაჭავარიანის მითითებით, იგი კიევშია.

დანარჩენი წევრები–იგორ სპივაკოვი, გიორგი გოგბერაშვილი, ოთარ ვადაჭკორია და ზურაბ ალავიძე გასულები არიან ამხანაგობიდან და შესაბამისად მათ ნატურით აქვთ გატანილი თავიანთი კუთვნილი წილი, რაც დასტურდება მათ მიერ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მშენებარე ბინების გაყიდვით. თითოეულ მათგანზე მოგახსენებთ, რომ;

2002 წელს ამხანაგობის წევრი იყო იგორ სპივაკოვი, რომელიც ამხანაგობიდან გასულია და თავისი კუთვნილი წილი გატანილი აქვს ნატურით. შესაბამისად, 2009 წლის 09 ივნისს უკრაინის იუსტიციის სამინისტროს ნოტარიუს ვალენტინა ვლადიმერის ასულ ლოზენკოსთან დამოწმებული აქვს განცხადება BMEN№227735, რითაც იგი ადასტურებს, რომ ამხანაგობის მიმართ არ გააჩნია არანაირი პრეტენზია. აღნიშნული ნოტარიული განცხადება გადათარგმნილია და დამოწმებული ნოტარიუს მერი ბუბაშვილთან 2009 წლის 07 ივლისს, რომელიც რეგისტრირებულია სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომრით №090265355. იგორ სპივაკოვის წარმომადგენელი იყო სწორედ შაქრო მაჭავარიანი, ვისი მეშვეობითაც მას გაყიდული აქვს თავისი კუთვნილი №1, 2, 3, 4, 9, 11, 13, 15, 16 და 18 ბინები, ასევე № 2, 3, 7, 9, 11, 12, 13, 14, 15 ავტოფარეხები.

2002 წელს ამხანაგობის წევრი იყო გიორგი გოგბერაშვილი, რომელიც ამხანაგობიდან გასულია და თავისი კუთვნილი წილი გატანილი აქვს ნატურით. კორპუსი "ბ"-ში მდებარე №14 ბინა და №8 ავტოფარეხი საკადასტრო კოდით №1/14/2/13/2 გაასხვისა ვაჟა მიქატაძეზე 2004 წლის 06 ივლისს ნოტარიუს ნარგიზ მინდიაშვილთან გაფორმებული №1/5155 ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის სამსახურში.

2002 წელს ამხანაგობის წევრი იყო ზურაბ ალავიძე, რომელიც ამხანაგობიდან გასულია და თავისი კუთვნილი წილი გატანილი აქვს ნატურით. მის საკუთრებაში იყო კორპუსი "ბ"–ში მდებარე №12 ბინა და №6 ავტოფარეხი. 223.2 კვ.მ. საერთო ფართის №12 ბინიდან 94.22 კვ.მ ფართი გაასხვისა 2007 წლის 19 ივლისს კახი ჯაშზე, ხოლო ამავე ბინიდან 128.98 კვ.მ. ფართი კი 2008 წლის 28 იანვარს გაასხვისა დავით სხირტლაძეზე. შესაბამისად საკადასტრო კოდით №01.14.02.013.002.02.525 რეგისტრირებული ბინის თანამესაკუთრეები მის შემდეგ იყვნენ დავით სხირტლაძე და კახი ჯაში. რაც შეეხება მის საკუთრებაში მყოფ №6 ავტოფარეხს, საკადასტრო კოდით 01.14.02.013.002.02.501, მან იგი გაასხვისა 2008 წლის 28 იანვარს დავით სხირტლაძეზე.

2002 წელს ამხანაგობის წევრი იყო ოთარ ვადაჭკორია, რომელიც ამხანაგობიდან გასულია და თავისი კუთვნილი წილი გატანილი აქვს ნატურით. 2005 წლის 18 ივლისს მან თავისი კუთვნილი №8 ბინა მდებარე კორპუსი "ბ"–ში და №4 ავტოფარეხი გაუცვალა შაქრო მაჭავარიანს "ა" კორპუსში მდებარე №8 ბინაზე. კორპუსი "ა"–ში მდებარე №8 ბინა კი ოთარ ვადაჭკორიამ გაასხვისა თენგიზ კილაძეზე 2005 წლის 14 დეკემბერს, რის შემდეგაც ამხანაგობასთან მისი კავშირი ამით დამთავრდა. ამჟამად აღნიშნული ბინა რეგისტრირებულია ნანული ბათლიძის სახელზე, რომელმაც საკუთრების უფლება მოიპოვა თენგიზ კილაძისაგან საკუთრების უფლების გადაცემით და მისი საკადასტრო კოდია №01.14.02.013.002.01.530, ხოლო თავად

ოთარ ვადაჭკორია გარდაცვლილია, რაც დასტურდება გარდაცვალების მოწმობით, რომლის ნომერია ალ№565377, გაცემული 2011 წლის 11 ნოემბერს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "შხარა 91"-ის წევრთა საერთო კრება უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

მოგახსენებთ, რომ ამხანაგობის წესდება, რომელიც მიღებულია და ხელმოწერილია 2002 წლის 24 დეკემბერს მოძველებულია და იგი შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი ამხანაგობის საერთო მიზნის დასრულებისათვის. კერძოდ, წესდების გარკვეული პუნქტები პრაქტიკულად არარეალურია და გამომდინარე იქიდან, რომ ამხანაგობის გარკვეული წევრები გავიდნენ ამხანაგობიდან, ხოლო ერთი გარდაიცვალა, საჭიროა წესდების ახალი რედაქციის მიღება, რათა დასრულდეს ამხანაგობის საქმიანობა და ექსპლუატაციაში იქნეს მიღებული "ა" კორპუსი. 2002 წლის 11 დეკემბერს ამხანაგობის მიერ №1 კრების ოქმით დათარიღებული დოკუმენტი შედგენილი იქნა მაშინდელი წევრების მიერ, რომელიც ხელმოწერილი იქნა და ხელმოწერები დადასტურებული იქნა ნოტარიუს ნარგიზ მინდიაშვილის მიერ 2002 წლის 11 დეკემბერს სანოტარო რეესტრის ნომრით №1/8824. ნოტარიუსს ჩვენს შორის არ დაუდასტურებია გარიგება, მან მხოლოდ დაადასტურა ჩვენი ხელმოწერები, შესაბამისად აღნიშნული კრების ოქმით განაწილებული იქნა ის ფართები, რომელიც 1991 წლის 23 ოქტომბერს თბილისის საბურთალოს რაიონის პრეფექტურის №1110 გადაწყვეტილებითა და დამტკიცებული პროექტის შესაბამისად უნდა ყოფილიყო აშენებული. 2002 წლიდან დღემდე ამხანაგობის წევრთა რიგებში მოხდა ცვლილებები, ხოლო ამხანაგობის მიერ ასაშენებელი ფართის კორექტირება მოხდა თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 17 მარტს გამოცემული №20/185 ბრძანებით (მშენებარე "ა" კორპუსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების თაობაზე) და ამ აქტის შესაბამისად, ამავე სასახურის მიერ 2007 წლის 19 დეკემბერს გამოცემული №6/1222 მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანების საფუძველზე. იმისათვის, რომ მოწესრიგდეს ამხანაგობის წევრთა შორის ურთიერთობები, საჭიროა წესდებაში შევიდეს ცვლილებები, რათა ქმედუნარიანი გახდეს ამხანაგობა მესამე პირებთან და ერთმანეთს შორის ურთიერთობებში. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ საჭიროა ძველი წესდების გაუქმება და წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება, რომელიც უნდა იქნეს წარდგენილი საჯარო რეესტრის თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში, რათა შემდგომში მოხდეს მიწის ნაკვეთების გამიჯვნა და თითოეული კორპუსში მდებარე ბინების დამისამართება ეთხოვოს ვაკე-საბურტალოს რაიონულ გამგეობას. შესაბამისად ძველი წესდება არის მოძველებული და ამხანაგობის წევრთა საერთო კრებას შეუძლია იგი შეცვალოს და ახლებურად მოაწესრიგოს ამხანაგობის ურთიერთობები, როგორც ამხანაგობის შიგნით, ისე მესამე პირებთან ურთიერთობაში. მოქმედი წესდების 5.2. მუხლის 5.2.3. პუნქტის შესაბამისად; "ამხანაგობის წევრთა საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება: 5.2.3. ამხანაგობის სხვა საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც არ შედის "დამფუძნებელ წევრთა" კრების კომპეტენციაში." აქედან გამომდინარე და მოქმედი წესდების 4 მუხლით გათვალისწინებული დანაწესიდან გამომდინარე, ასეთი უფლებამოსილება "დამფუძნებელ წევრთა" კრების კომპეტენციაში არ შედის, შესაბამისად ამხანაგობის წევრთა საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს წესდების ახალი ვარიანტი და იგი სავალდებულო იქნება, როგორც თავად ჩვენივე ამხანაგობის წევრთა შორის ურთიერთობების მოსაგვარებლად,

ასევე მესამე პირებთან საურთიერთობოდაც.

გასათვალისწინებელია, რომ 2011 წლის 21 სექტემბრის თარიღითა და №დ1195-11 მიმართვით გადმოგვეცა ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №001306 დადგენილება სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე. აღნიშნულ დადგენილებაში მითითებული იყო "ა" კორპუსში მცხოვრები პირების მიერ სამშენებლო პროექტის დარღვევით ნაწარმოები გადაკეთებები, რის გამოც ამხანაგობა "შხარა -91" დაჯარიმდა 4 000 (ოთხი ათასი) ლარით. აღნიშნულზე საჭიროა სასწრაფო რეაგირება, რათა საჯარიმო თანხა არ გასამმაგდეს. საჭიროა გაკეთდეს კორექტირებული პროექტი და აღებული იქნას სამშენებლო ნებართვა, რათა მოხდეს კორპუსის ექსპლუატაციაში მიღება. კორექტირებული პროექტის შედგენას კი ესაჭიროება არქიტექტორი.

- დღის წესრიგის 1. საკითხზე კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გაუქმდეს წესდება, რომელიც მიღებულია და ხელმოწერილია 2002 წლის 24 დეკემბერს და დამოწმებულია ნოტარიუს ნარგიზ მინდიაშვილის მიერ ამავე დღეს, სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის ნომრით №1/9025.

- მიღებული იქნას წესდების ახალი რედაქცია, რომელიც დაერთვის წინამდებარე ოქმს, ექნება სავალდებულო ძალა და წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს.

- გამგეობის წევრები არიან დონარა დოლიძე და ბუჭა ტოგონიძე. ვინაიდან ამხანაგობის გამგეობის წევრი ზურაბ ალავიძე უკვე აღარ არის ამხანაგობის წევრი, მის ნაცვლად არჩეული იქნეს ნუგზარ სვანიძე.

- თანათავმჯდომარის ინსტიტუტი გაუქმდეს და ამხანაგობის თავმჯდომარედ დარჩეს დონარა დოლიძე, რომელიც ამავდროულად გამგეობის წევრიც არის. ამხანაგობის მმართველობის ორგანოების კომპეტენცია გაწერილია ახალ წესდებაში, რომელიც უკვე მივიღეთ.

- გაუქმდეს 2001 წლის 11 დეკემბერს №1 კრების ოქმით განსაზღვრული №6 საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება. დონარა დოლიძის, ბუჭა ტოგონიძისა და ზურაბ ალავიძის გამგეობის წევრობის შეწყვეტასა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით და ამხანაგობის გამგეობის წევრების ვინაობა და კომპეტენცია განისაზღვროს წინამდებარე ოქმისა და ამ ოქმის საფუძველზე მიღებული წესდების შესაბამისად. დღეის მდგომარეობით შეუსრულებელი ვალდებულებების მდგომარეობის შესწავლა დაევალოს ამხანაგობის გამგეობას და შემდგომი რეაგირებისათვის მიღებული იქნეს სასწრაფო ზომები, რათა დასრულდეს ავტოფარეხებისა და დამცავი ღობის მშენებლობა და ეზოს კეთილმოწყობა.

- 2011 წლის 21 სექტემბრის თარიღითა და №დ1195-11 მიმართვით გადმოგვეცა ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №001306 დადგენილება სამშენებლო სამართალდარღვევის

დონარა დოლიძე) ბუჭა ტოგონიძე ნუგზარ სვანიძე

საქმეზე. აღნიშნულ დადგენილებაში მითითებული იყო "ა" კორპუსში მცხოვრები პირების მიერ სამშენებლო პროექტის დარღვევით ნაწარმოები გადაკეთებები, რის გამოც ამხანაგობა "შხარა -91" დაჯარიმდა 4 000 (ოთხი ათასი) ლარით. აღნიშნულის თაობაზე სასწრაფოდ იქნეს გაფრთხილებული თითოეული მცხოვრები პირი, რომელთაც უძრავი ქონება შეძენილი აქვთ ამხანაგობის წევრის შაქრო მაჭავარიანისაგან, რომ ან მოიყვანონ პროექტთან შესაბამისობაში მშენებლობა ან გადაიხადონ ჯარიმის თანხა.

- მოხდეს პროექტის კორექტირება და რეკონსტრუქციის პროექტი წარდგენილი იქნეს არქიტექტურის სამსახურში.

- არქიტექტორის შერჩევა დაევალოს ამხანაგობის თავმჯდომარეს დონარა დოლიძეს.

დონარა დოლიძე

ბუჭა ტოგონიძე

ნუგზარ სვანიძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N111307871
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	29.11.2011 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	მერაბ ფარჯიკია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი ვ/ფშაველას 41
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2395715 მობილური 599 196 409
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	23719657912011


სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

ორი ათას თორმეტი წლის ოცდაცხრა ნოემბერს მე, ნოტარიუსს მერაბ ფარჯიკიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41-ში. მომმართეს **დონარა დოლიძემ, ბუჭა ტოგონიძემ და ნუგზარ სვანიძემ** რომლებმაც წარმოადგინეს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "შხარა-91"-ის წევრთა საერთო კრების ოქმი და მოითხოვეს მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად დონარა დოლიძემ (დაბადებული: 28.06.1933წ. ადიგენში, პ/მ №ბ0288766 პირადი №01010013456 გაცემული 12.02.2001წ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს შს III განყოფილების მიერ, მცხოვრები ქ. თბილისი, ნუცუბიძის 3 მ/რ 1 კვ. კორპ. 8 ბინა 18) **ბუჭა ტოგონიძემ** (დაბადებული 07.10.1945წ. თბილისში, პ/მ № ა1386976 პირადი № 01010006892 გაცემული 04.10.2010წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვაკის სამსახურის მიერ, რეგისტრირებული ქ. თბილისი, ნუცუბიძის III მ/რ 1 კვ. კორპ. "ბ" ბინა 5) **და ნუგზარ სვანიძემ** (დაბადებული 20.08.1948წ. თბილისში, პ/მ №ბ0122856 პირადი №01008010900 გაცემული 11.07.1996წ. თბილისის ვაკის რ-ნის შს სამმართველოს მიერ, მისამართი: თბილისი, ტ. ტაბიძის I შესახ. 20) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მათი ნების გამოვლენის ნამვილობა, განვუმარტე, რომ წინამდებარე ოქმზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ამოწმებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირს ეკუთვნის. ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე, ამის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულეს ხელმოწერა წინამდებარე ოქმზე.

გადახდილია საზღაური სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ 29-ე მუხლის თანახმად ოცდაათი ლარი, აგრეთვე სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური ორი ლარი თანახმად 31-1-ე მუხლისა+ დღგ 5.40 ლარი. ერთი ეგზემპლარის ღირებულება: ოცდაჩვიდმეტი ლარი და ორმოცი თეთრი: სულ გადახდილია სამი ეგზემპლიარისათვის 112.20 (ასთორმეტი ლარი და ოცი თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი

მერაბ ფარჯიკია



ამონაწერი

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "შხარა 91"-ის წევრთა საერთო კრების ოქმიდან

თბილისი 27 აგვისტო 2012 წელი

კრებას ესწრებიან:

დონარა დოლიძე, ბუჭა ტოგონიძე, შაქრო მაჭავარიანი, მისი წარმომადგენელი მზია პატარაშვილი, ნუგზარ სვანიძისა და დონარა დოლიძის წარმომადგენელი ხათუნა გრიგალაშვილი.

დღის წესრიგი:

- შაქრო მაჭავარიანის ამხანაგობა "შხარა 91"-ის წევრობიდან გარიცხვის საკითხი.

კრების თავმჯდომარე დონარა დოლიძე და

კრების მდივანი ბუჭა ტოგონიძე

კრებამ დაადგინა:

- ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებისა და ვალდებულებათა შესრულებაზე უარის თქმის გამო, ამხანაგობა "შხარა 91"-ის წევრობიდან გაირიცხოს შაქრო მაჭავარიანი.

კრების თავმჯდომარე დონარა დოლიძე: დონარა დოლიძე

კრების მდივანი ბუჭა ტოგონიძე: ბუჭა ტოგონიძე

ამხანაგობი წევრები:

დონარა დოლიძე: დონარა დოლიძე

ნუგზარ სვანიძის წარმომადგენელი ხათუნა გრიგალაშვილი: ხათუნა გრიგალაშვილი

ბუჭა ტოგონიძე: ბუჭა ტოგონიძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N120902023
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	27.08.2012 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მერაბ ფარჯიკია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი ვ/ფშაველას 41
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2395715
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	88654219655012

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას თორმეტი წლის ოცდაშვიდე აგვისტოს მე, ნოტარიუს მერაბ ფარჯიკიას, მაქვს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41-ში. მომმართეს **ბუჭა ტოგონიძემ, დონარა დოლიძემ, და ხათუნა გრიგალაშვილმა როგორც ნუგზარ სვანიძის წარომდგენელმა (თანახმად მინდობილობსა დამოწმებულია 2012 წლის 24 აგვისტოს ნოტარიუს მ. ფარჯიკიას მიერ რეესტრში რეგისტრაციის № 120892109),** რომლებმაც წარმოადგინეს ამონაწერი **ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "შხარა-91"-ის წევრთა კრების ოქმიდან** და მოითხოვეს მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ბუჭა ტოგონიძემ** (დაბადებული 07.10.1945წ. თბილისში, პ/მ № ა1386976 პირადი № 01010006892 გაცემული 04.10.2010წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვაკის სამსახურის მიერ, რეგისტრირებული ქ. თბილისი, ნუცუბიძის III მ/რ 1 კვ. კორპ. "ბ" ბინა 5) **დონარა დოლიძემ** (დაბადებული: 28.06.1933წ. ადიგენში, პ/მ ბარათი № 11IB43099 პირადი №01010013456 გაცემული 13.01.2012წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, მცხოვრები ქ. თბილისი, ნუცუბიძის 3 მ/რ 1 კვ. კორპ. 8 ბინა 18) **და ხათუნა გრიგალაშვილმა** (დაბადებული: 21.05.1967წ. ლაგოდეხში, პ/მ №დ1089206 პირადი №35001026542 გაცემული 21.08.2007წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდა-კრწანისის სამსახურის მიერ, მისამართი: თბილისი, გ. ჭანტურიას ქ. №5 ბინა 23) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მათი ნების გამოვლენის ნამდვილობა, განვუმარტე, რომ წინამდებარე ოქმზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ამოწმებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირს ეკუთვნის. ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე, ამის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულეს ხელმოწერა წინამდებარე ოქმზე (სამ ეგზემპლიარზე).

გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსის საზღაურის შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილება 31-ე მუხლისა თანახმად 10 (ათი) ლარი, + 2 (ორი) ლარი სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურის შესახებ" საქ. კანონის 39-ე მუხლისა + დღგ 1.80 ლარი საგადასახადო კოდექსის 169-მუხლისა,

ნოტარიუსი მერაბ ფარჯიკია